

რით გაახარა მიხეილ სააპაშვილა

ლადო პაპავა?

გაზეთი “კვირის ქრონიკა” – 16-22 ივნისი, № 24, 2008

საგალუტო ფონდის მიერ შედგენილი რეიტინგის მიხედვით, საქართველო, ეკონომიკური რეფორმების მხრივ, მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების პირველ ათეულშია. ტაში. მიუხედავად ამისა, ნებისმიერმა გაუნათლებელმა ქართველმაც კი იცის, რომ ჩვენში ინფლაცია მძვინვარებს და სოციალური ფონი დღითიდღე მძიმდება. დუმილი. პროფესორ ლადო პაპავას თქმით, დღეს ფინანსური კრიზისი მთელ მსოფლიოში კი აღინიშნება, მაგრამ, ვინაიდან საქართველოში შიდა პრობლემებიც თავზესაყრელია, მდგომარეობა უფრო მძიმეა.

– ბატონო ლადო, ამ დღეებში მსოფლიო ბანკმა გაავრცელა ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ საქართველო ეკონომიკური განვითარებისა და ჩატარებული რეფორმების მხრივ მსოფლიოში წამყვანი ქვეყნების ათეულში შევიდა. ამის გამო ეკატერინე შარაშიძე ვაშინგტონშიც მიიწვიეს და სპეციალური ჯილდოც კი გადასცეს. ამისენით, მთელ მსოფლიოში ასე ძალიან ბნელა?

– როგორც წესი, პროფესიონალი ეკონომისტები ამა თუ იმ ქვეყნის ეკონომიკის შესახებ ინფორმაციას არა რეიტინგებიდან, არამედ სტატისტიკური მონაცემებიდან იღებენ. არსებობს რამდენიმე პარამეტრი, რომელიც ეკონომიკურ მდგომარეობას მეტნაკლები სისრულით ასახავს – მაგალითად, როგორია მთლიანი შიგა პროდუქტი მოსახლეობის ერთ სულზე, როგორია შიგა პროდუქტის ზრდის ტემპები, როგორია ინფლაცია, რა ხდება დასაქმების მხრივ, საგადასახადო შემოსავლების მხრივ, რამდენია საგარეო ვალი, როგორია საგადამხდელო თუ სავაჭრო ბალანსი და ა.შ. ასე რომ, უკვე არის ჩამოყალიბებული კლასიკური პარამეტრები, რის მიხედვითაც რეალური

სურათის დადგენა შეიძლება, მაგრამ დღეს მსოფლიოში წამოვიდა რეიტინგების კონსტრუირების ახალი ტალღა, რომელიც მხოლოდ ეპონომიკას კი არა, თითქმის ყველა სფეროს ეხება. სიმართლე გითხრათ, ყველა რეიტინგი საინტერესოა, მაგრამ ამავე დროს არასერიოზულიც გახლავთ. თქვენ რომ ერთ სფეროსთან დაკავშირებული სხვადასხვა რეიტინგი ნახოთ, ხშირად ურთიერთგამომრიცხავ შედეგებსაც კი აღმოაჩენთ.

— კი, მაგრამ ეს ყალბი რეიტინგები ვის სჭირდება?

— ეს პროდუქტი კარგად იყიდება, კარგად პიარდება, შეიძლება რომელიმე ქვეყანამ ქაღალდზე წინ წაიწიოს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ იქ მოსახლეობა ბედნიერია. როდესაც ჩვენ ბიზნესის განხორციელების შესაძლებლობებით გერმანიას ვუსწრებთ, ამას რომელიმე ჭკუათმყოფელი დაიჯერებს?

— მე მაინტერესებს მიზეზი, ამას რატომ მიკეთებენ და რატომ მაგიჟებენ?

— არა, ამას თქვენ არ გიკეთებენ, ამაზე საერთაშორისო ორგანიზაციები სპეციალურად მუშაობენ და პროდუქტს კარგად ყიდიან. ჩვენთან მხოლოდ ის რეიტინგები პიარდება, რომლებშიც საქართველო უკეთესად გამოიყურება. ბუნებრივია, ხელისუფლება იმას არ გამოაჩენს, სადაც მდგომარეობა გაუარესებულია. დღეს მთელი მსოფლიო ახალი სენიო “რეიტინგომანიით” არის დაავადებული და ეს ვირუსი ჩვენც შეგვეყარა – შეუიარაღებელი თვალითაც კარგად ჩანს, რომ ჩვენთან სახელმწიფოებრივი მოწყობის მხრივ ბევრი რამ მხოლოდ პიარზეა დაფუძნებული. დღეს ხშირად გაიძახიან, რეიტინგები უცხოელი ინვესტორებისთვის კეთდება, ისინი ჩამოვლენ და რომელიმე სფეროში ფულს ჩადებენ. თუ მსოფლიოში ისეთი ბრიყვები არსებობენ, რომლებსაც ამ ყველაფრისა სჯერათ, მაშინ გავაპიაროთ, მაგრამ ნებისმიერი სერიოზული ეკონომისტისთვის ეს თემა სულ ცოტა ლიმილის მომგვრელია...

— როდესაც რომელილაც საერთაშორისო ორგანიზაცია გეუბნება, რომ შენ ეკონომიკის განვითარების მხრივ გერმანიას ასწრებ, უხერხულ მდგომარეობაში თუ არ ჩავარდები, ხომ უნდა გაწითლდე მაინც?

– იცით, ახლა გამახსენდა ჩესტერფილდის ერთი წერილი, რომელიც მან თავის შვილს გაუგზავნა: შვილო, იცოდე, როდესაც გაქებენ, უპირველესად იმაზე დაფიქრდი, ამ ქებას იმსახურებ თუ არა. თუ არ იმსახურებ, მაშინ იცოდე, დაგცინიანო...

– მშვენიერი პასუხია... კი, მაგრამ ჩვენმა ბანკებმა საკრედიტო განაკვეთები 35-48 პროცენტამდე რომ ასწიეს, განა ეს ნაკლები დაცინვაა?

– მთელ მსოფლიოში რომ ფინანსური კრიზისი ჩამოყალიბდა, ყველამ კარგად ვიცით. ეს კი იმას ნიშნავს, რომ თავისუფალი ფინანსური რესურსი შემცირდა, რამაც ბუნებრივია, გაძვირება გამოიწვია. ქართული ბანკები საკრედიტო რესურსების საკმაოდ ნაწილს ევროპის ბაზარზე იაფად იღებდნენ. მაგალითად, თუ ბანკი 7 პროცენტად იღებდა და ახლა 17 პროცენტამდე გაუძვირეს, როდესაც ის თავის წილსაც დაარიცხავს, საბოლოო ჯამში ბევრი გამოდის. ამას ემატება მეორე, წმინდა ქართული ფაქტორი – ინფლაციის მაღალი დონე, რასაც მთავრობა შეგნებულად მალავს. ჩვენ სტატისტიკის დეპარტამენტის ყალბ მონაცემებზე უკვე არაერთხელ ვისაუბრეთ, ამაზე უურადღებას აღარ გავამახვილებ, მაგრამ თვითონ ამ ბანკების მესვეურებმა ხომ კარგად იციან, რომ ქვეყნაში ინფლაცია მძვინვარებს? თუ საპროცენტო განაკვეთი ინფლაციაზე მაღალი არ არის, ბანკის მიერ გაცემული ფული დაკარგულია. ახლა ესენი არა მხოლოდ წლიური ინფლაციის დონეს ფარავენ, არამედ მოსალოდნელსაც. ასე რომ, საპროცენტო განაკვეთის გაზრდა ნუ გიკვირთ, ეს რეალური მაჩვენებელია. კი, ბატონო, ვისაც სესხის აღება გვინდა, ძალიან ცუდ დღეში ვვარდებით, მაგრამ ამ შემთხვევაში ბანკები თვითგადარჩენისთვის და ამით, იმავდროულად, ჩვენი დეპოზიტებისა და ანგარიშების გადარჩენისთვისაც იბრძვიან. გარდა ამისა, როდესაც საპროცენტო განაკვეთი მაღალია, მომხმარებელი ცოტაა, მიმოქცევაში ფულის მასა მცირდება და რაღაც პერიოდში ინფლაციის ზრდის ტემპი მცირდება. უბედურება ის არის, რომ ასეთ დაწოლას წარმოება ვერ გაუძლებს. ჩვენმა პრემიერ-მინისტრმა თვენახევრის წინ თქვა, ინფლაცია შემოდგომაზეც გაგრძელდებაო, მე მას ვეთანხმები, მართლაც ასე იქნება, მაგრამ გურგენიძემ ჟველაფერი მხოლოდ გარე ფაქტორებით ახსნა... და შიგა პრობლემებზე

საუბრისაგან თავი შეიკავა. როდესაც პრემიერ მინისტრი ასეთ არასასიამოვნო პროგნოზს აკეთებს, იგი ინფლაციურ მოლოდინს კიდევ უფრო ზრდის და ბუნებრივია, ბანკებიც თავს იზღვევენ.

— ბატონო ლადო, თქვენ ამბობთ, მიუხედავად ობიექტური პრობლემებისა, ბანკები ე.წ. ინფლაციური მოლოდინის ფაქტორსაც ითვალისწინებენ. გამოდის, გარდა რეალური პროცენტისა, მე რადაც ჯერ არარსებულის გამოც მახდევინებენ. მაინტერესებს, ამ მოლოდინის წყალობით რამდენს მატყუებენ?

— მაგას ვერ გეტყვით, რადგან არ ვიცი, ქვეყანაში ინფლაციის დონე ზუსტად რამდენია. ამაზე მკითხაობა არ შეიძლება. შეგახსენებთ, მე ჯერ კიდევ დეკემბერში, პარლამენტში ყოფნისას გავაკეთე განცხადება, რომელსაც მთავრობიდან მკვეთრად უარყოფითი რეაქცია მოჰყვა — თუკი წლიური ინფლაციის დონე 30-40 პროცენტს არ გადააჭარბებს, ჩათვალეთ, რომ საქართველო გადარჩა-მეთქი. ჩემი აზით, რაც დღეს საქართველოში ხდება ინფლაციის ზრდის კუთხით, ამას კერძო ბანკების მესვეურები კარგად გრძნობენ.

— როდესაც გურგენიძე ტრაბახობდა, საპროცენტო განაკვეთის გაზღით ინფლაციას შევაჩერებო, ამ უბედურებას გულისხმობდა?

— რა თქმა უნდა, ამას გულისხმობდა. ეს ინფლაციის შენელების ერთ-ერთი მექანიზმია, მაგრამ, იმადროულად, ეკონომიკის განვითარებას აფერხებს. ამ შემთხვევაში ჩვენ ასეთი არჩევანი გვაქვს: ან მგელი შეგვჭამს, ან მგლისფერი ტურა...

— მაშინ გურგენიძეს შეუძლია, ხელფასები და პენსიებიც შეამციროს, ინფლაციის დონეს ესეც შეანელებს.

— არა, ეს ძალიან საეჭვო პროექტი იქნება. იმავდროულად მცდარი პროექტები უნდა გამოირიცხოს! მაგალითად, მე მივესალმები, რომ მთავრობამ ე.წ. დასაქმების პროგრამებზე უარი თქვა. ახლა იმედის საფუძველს ერთი ფაქტორიც იძლევა — ავად თუ კარგად, ორი არჩევნები გადავაგორეთ და ალბათ, ხელისუფლება მინიმუმ 4 წლის განმავლობაში წყნარად იქნება, პოპულისტურ ზომებს აღარ გამოიყენებს.

– თუ ასეთი ტემპით წავედით, 2009 წლის ბოლოს პენსიონერებისთვის დაპირებული 100 დოლარი ისევ 70 ლარი იქნება.

– არა, თუ 100 დოლარი 70 ლარს გაუთანაბრდა, ეს კოლაფსი იქნება. შეიძლება სადღაც 120 ლარამდე ჩამოვიდეს. მე მთავრობას ვურჩევ, პენსიები 2009 წლის სექტემბერ-ოქტომბერში გაზარდოს, ამ დროს ბაზარზე პროდუქცია მეტია და ინფლაციური წნები ნაკლები იქნება. თუმცა ფსევდო-დასაქმებისა და რაღაც სტუდენტური პროგრამები საერთოდ უნდა გამოირიცხოს.

– პოლიტოლოგები გვარწმუნებენ, რომ შემოდგომაზე ფასები ისე მოიმატებს, სოციალური აფეთქება გარდაუვალიაო. თქვენ ამ პროგნოზს არ ჰთანხმებით?

– ის, რომ შემოდგომაზე ჭირნახული მეტია და ფასების შემცირებას ხელს უწყობს, შეიძლება სოციალური პრობლემების მუხრუჭი მაინც არ აღმოჩნდეს. ბოლო-ბოლო, შემოდგომას ზამთარი მოხდევს, როცა ელექტროენერგიისა და გაზის მოხმარება მკვეთრად იზრდება. სოციალური ფონი რომ აუცილებლად დამძიმდება, ეს უკვე ცხადია. საერთაშორისო ექსპერტების ვარაუდით, დოლარმა გამყარება სადღაც 2011 წლისთვის უნდა დაიწყოს, იმასაც ამბობენ, რომ ამ დროისათვის მსოფლიო ბაზარზე ერთი ბარელი ნავთობის ფასი 75 დოლარამდე ჩამოვა, მაგრამ ამ დრომდე მისვლა ხომ გვინდა?

– რას გვეტყვით პარლამენტში ეკონომიკური პროფილის კომიტეტების ახალ თავმჯდომარეებზე?

– ზურაბ მელიქიშვილზე, რომელსაც არ ვიცნობ, ვერაფერს გეტყვით. ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტს ახალი თავმჯდომარე გიორგი მელაძე ადრე ანტიმონოპოლიური სამსახურის უფროსადაც მუშაობდა. წესით, მან უნდა მოინდომოს საქართველოში ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის აღდგენა. დღეს ჩვენი ბაზარი მონოპოლიებისგან სრულიად დაუცველია და სხვათა შორის, ევროკავშირი ამ პრობლემის გამოსწორებას დაუინებით ითხოვს.

– ანტიმონოპოლიური კანონმდებლობა საერთოდ არ გაგვაჩნია?

– არსებობს რაღაც ხელოვნური კანონი, რომელიც ვითომ კონკურენციის ხელშეწყობას გულისხმობს, ეკონომიკური განვითარების სამინისტროში ხუთგაციანი აპარატიც კი ჩამოაყალიბეს, მაგრამ მან პრაქტიკულად რომც მოინდომოს, მაინც ვერაფერს შემდებს, რადგანაც არც სათანადო კადრები აქვს და არც რაიმე ქმედითი ინსტრუმენტები უპყრია ხელთ.

– თქვენ როგორ გგონიათ, მელაძე ბენდუქიძეს გადაახტება?

– ვერ გეტყვით... თუ გადაახტება, ქვეყნისათვის კარგი იქნება.

– კი, მაგრამ ეს ბენდუქიძე რა გახდა, რომ წლების განმავლობაში თავის ხელშე გვატრიალებს, ვეღარ უნდა მოვიშოროთ? ამ ხელისუფლებაში ზოგი მიდის, ზოგი – მოდის, ეს კიდევ ერთ ადგილზე დგას და დგას.

– თქვენ გინდათ, თქვათ, რომ ბენდუქიძე ლენინივითაა?

– ლენინზე უარესია!

– თქვენ იცით, რომ იგი არაერთხელ გამიკრიტიკებია, მაგრამ ბოლოს ერთ რამეს მივხვდი – რაც უფრო მეტ უარყოფით ემოციას გამოვხატავთ, მთავრობაში მისი ყოფნის პროცესს ვახანგრძლივებთ. კახა ბენდუქიძე ის ფენომენია, რომელიც საზოგადოებისთვის მთლიანად არის გაშიფრული, ხოლო ვისაც მოსწონს, მას ჰყავს კიდეც. მე არ მომწონს, თქვენ არ მოგწონთ, ხალხს არ მოსწონს, მაგრამ არავინ არაფერს გვეკითხება. იმაშიც დარწმუნებული ვარ, რომ თვით „ნაციონალების“ უმეტესი ნაწილიც მას ამრეზით უყურებს. სააკაშვილი საპრეზიდენტო არჩევნებში ისე გავიდა, რომ ეს არაპოპულარული სახე არ ჩამოიშორა; ის დაიტაოვა საპარლამენტო არჩევნებშიც... და ორივე ეს არჩევნები მოიგო! ჯობია ბატონ კახას თავი დავანებოთ – ხომ ვხედავთ, რომ პრობლემა მასში არ არის?...

მინდა თემას გადავუხვიო. მიუხედავად იმისა, რომ ამ წუთას არასასიამოვნო თემაზე ვსაუბრობთ, ერთი რამით მაინც გახარებული ვარ – ამ დღეებში, როგორც იქნა, პრეზიდენტმა სააკაშვილმა თავის გამოსვლაში სიტყვა „მეცნიერება“ ახსენა. მე იმ უკანასკნელ „მოპიკანთა“ რიცხვს მივეკუთვნები, რომელთაც 2004 წელს მეცნიერების დარგში სახელმწიფო პრემია მიიღეს და რომლის შემდეგაც ეს პრემია გაუქმდა. ჩემთვის გაუგებარი

იყო, ეს პრემია რატომ უნდა გაუქმებულიყო. თურმე ამის გამო პრეზიდენტიც აღშფოთებული ყოფილა. ჩვენ კარგად ვიცით, ვინც გაუქმა, მაგრამ თუკი აღდგება, მაინც კარგია.

- თქვენი სიხარული ცოტა ნაადრევი ხომ არ არის?
- კარგით, რა, გულში ცოტაოდენი იმედი ძლივს ჩამესახა და იმასაც მიკლავთ? მე ნამდვილად არ მინდა, მეცნიერების დარგში ბოლო დაჯილდოებული ვიყო. ასე რომ, პრეზიდენტის გადაწყვეტილებას მივესალმები.

გელა ზედელაშვილი